საექსპერტო დასკვნა

სავაჭრო ცენტრი “ქარვასლა” მისამართი :ქ. თბილისი ც, დადიანის №7 ობიექტზე

სავაჭრო ცენტრი “ქარვასლა” მისამართი : ქ. თბილისი ც, დადიანის №7

ობიექტი შედგება “A” და “B” ბლოკისგან რომლებიც არის სეისმურად გაჭრილი. “A” ბლოკი შედგება 2 მიწიქვეშა და 7 მიწისზედა სართულისგან.

სამშენებლო შბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექნიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა - 8 ბალი
2. ქარის დატვირთვა 50 კგძ/მ^2
3. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 70 კგძ/მ^2

ხიმინჯები დაშუძნებულია გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობაზე

საანგარიშო წინაღობით:
Rc=55.0 კგძ/კვ.სმ

შენობის საძირკველს წარმოადგენს 1.0 დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების და შემკრავი საძირკვლის მონოლითური კოჭების (100X100, 50X80, 40X100, 100X80, 25X80) სმ ერთობლიობა.

საძირკვლის კედლები მონოლითური რკინაბეტონის, სისქით 40 სმ.
შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს კარკასი - მონოლითური სვეტები და რიგელები: სვეტები (60X136, 60X176.8, 90X70, 70X70, 40X40, 60X40, 60X60, 60X90, 60X97, 50X50, 50X90) სმ, რიგელები - (65X60, 60X60, 60X115, 40X65) სმ

დიაფრაგმები სისქით - 20 სმ და 25 სმ.
გადახურვის რკინაბეტონის მონოლითური ფილა (H=20-22 სმ.)
კიბეები - მონოლითური რკინაბეტონის

არსებულ ნაგებობაში უნდა მოხდეს ახალი ესკალატორის მონტაჟი, რომელიც უნდა განთავსდეს “9-10” და “D-F” ღერძებს შორის. ამისათვის უნდა მოხდეს ღიობების გახსნა -0.100 და 5.900 ნიშნულზე. სკალატორის ტექნოლოგიური ნახაზის მიხედვით დამუშავდა გაძლიერების კონსტრუქციული პროექტი რომელშიც გათვალისწინებულია ესკალატორის მიერ შენობის მზიდ კონსტრუქციებზე გადაცემული დატვირთვები.

ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით მოხდა შენობის კომპიუტერული გაანგარიშება "Lira sapr 2022" -ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

ანგარიშის საფუძველზე მოხდა შენობის მზიდი ელემენტების გაძლიერება: სვეტები 9-დ და 11-დ ღერძების კვეთაზე, გაძლიერდა რიგელები 9 და 10 შორის E და F ღერძებზე -0.100 ნიშნულზე, 9, 10 და 11 შორის D ღერძზე 5.900 ნიშნულზე. არდა ამისა გაჩნდა ლითონის ახალი ელემენტები : ოთხი შველერი №20-საგან შედგენილი ლითონის სვეტი და ლითონის კოჭები ორი ორტესებრი №27 ,ორი ორტესბრი №20 და ორი შველერი №16.

ამ ღონისძიებების განხორციელების შემდეგ ესკალატორის მონტაჟი შსაფრთხოა და არსებული შენობის მდგრადობაზე და მზიდუნარიანობაზე გავლენას ვერ იქონიებს.

პროექტი შესრულებულია მაღალ-პროფესიულ დონეზე, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმატივების დაცვით და ეძლევა ცალსახად დადებითი შეფასება.

საკონსტრუქტორო განყოფილების

მთავარი სპეციალისტი გ.რეხვიაშვილი

03.04.2025 წ.